სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/59

ქ. თბილისი

4 ივნისი 2021 წ.

2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრში მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში სტუ-ის ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთაგან სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის (N335-IVმს-Xმპ; 16/03/2021) მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილესა და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილების განაწილების შესახებ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N258588 ბრძანების მე-4 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 24 მაისის N480421 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 4 ივნისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრში მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში სტუ-ის ბაკალავრატის წარჩინებულ სტუდენტთაგან სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესი" (იხ. დანართი);
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრში მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის სტუ-ის ბაკალავრატის წარჩინებულ სტუდენტთაგან სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესი

1. ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 05 თებერვლის N64970 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04 02 06) სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრში **მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის** თვეებში გამოყოფილი სახელმწიფო 677 სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ბრძანებით, შეიქმნას საკონკურსო კომისიები სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებენ შემდეგით:

- სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის იმ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 91% და მეტს;

- სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე–3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის, საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.

5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.